ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის რისკები კულტურის სამინისტროში

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო”
2016

შესავალი

კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საქმიანობა, განსაკუთრებით უწყების მიერ სხვადასხვა კულტურული ღონისძიების/კონცერტის დაფინანსების საკითხი, ყოველთვის იყო საზოგადოებაში ფართო განხილვის საგანი. კულტურის სამინისტროს მიერ მხარდაჭრილი და დაფინანსებული ზოგიერთი პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს იმიჯისა და ცნობადობის გაზრდას, ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას და მათთვის მომხიბლველი ღონისძიებების ორგანიზებას. სწორედ ტურიზმის ხელშეწყობა სახელდებოდა ძვირადღირებული საერთაშორისო დონის ვარსკვლავების საქართველოში ჩამოყვანაზე დახარჯული თანხების გამართლებად. საერთაშორისო დონის ფესტივალების ხელშეწყობა შესაძლოა ტურისტების მოზიდვას ხელს ნამდვილად უწყობდეს, თუმცა ამ ეტაპზე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის არც ერთი კვლევა, რომელიც ამას კონკრეტული მონაცემებით დაადასტურებდა. საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ფესტივალების კვლევა მათი ორგანიზებით არ განხორციელებულა, თუმცა სამომავლოდ იგეგმება. შეკითხვა, შეუწყო თუ არა კონკრეტულმა ფესტივალმა ხელი მეტი ტურისტის მოზიდვას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასეთ ღონისძიებაზე დასწრება ფართო საზოგადოებისთვის შეზღუდულია.

ასევე, საყურადღებოა სახელმწიფოს მიერ კონკრეტული ღონისძიებების დაფინანსებისას პროექტის მთლიან ღირებულებაში ბიუჯეტის მიერ გაღებული თანხების წილი და მათი მიზანშეწონილობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთი **ღონისძიებების ხარჯის დიდი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარება, შემოსავალს კი ორგანიზატორი კერძო კომპანია იღებს.**

საერთაშორისო დონის ფესტივალების და კონცერტების ორგანიზებით საქართველოში წლების განმავლობაში რამდენიმე კომპანია იყო დაკავებული. ერთ-ერთი ასეთი კომპანიის, "ისთერნ პრომოუშენსის" თანადამფუძნებელი და დირექტორი მიხეილ გიორგაძე 2014 წლის 26 ივლისს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრად დაინიშნა. კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამდებობის პირების ე.წ. "მბრუნავი კარის" პრინციპით მოძრაობა კორუფციასა და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით გარკვეულ რისკებს შეიცავს,[1] რაც განსაკუთრებულ მონიტორინგს საჭიროებს. გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და საზოგადოების მხრიდან დაკვირვების განხორციელება მით უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია "ისთერნ პრომოუშენსი" წლების განმავლობაში კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინიტროსთან თანამშრომლობდა და სახელმწიფო

[1] ტერმინი „მბრუნავი კარი" კერძო და საჯარო სექტორებს, ან ზედამხედველობის განმახორციელებელ და ზედამხედველობას დაქვემდებარებულ უწყებებს შორის თანამდებობის პირთა ისეთ მოძრაობას გულისხმობს, რომელიც ინტერესთა შეუთავსებლობის ან კორუფციის საფრთხეს წარმოშობს

ბიუჯეტიდან ღონისძიებების ორგანიზებისთვის მნიშვნელოვან დაფნანსებასაც იღებდა. კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელების საჯარო სექტორში გადანაცვლებამ მისი თავისუფლად საქმიანობის შესაძლებლობა არ უნდა შეზღუდოს. თუმცა, მეორე მხრივ, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტია აუცილებელი იმისთვის, რომ თავად ამ კომპანიის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების შესახებ კითხვის ნიშნები არ გაჩნდეს და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათზე გაცემული ყველა ხარჯი ზედმიწევნით უნდა იყოს დასაბუთებული. სწორედ ამიტომ "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" კულტურის მინისტრის, მისი ყოფილი კომპანიისა და ბიზნეს პარტნიორების დღევადელი საქმიანობა შეისწავლა.

შემაჯამებელი მიმოხილვა

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" გამოიკვლია კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურის სფეროში მოქმედ ზოგიერთ საჯარო უწყებასთან დაკავშირებული ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის რისკები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება, კერძოდ:

- საქართველოს კულტურის სამინისტროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტს საქართველოში **ჯაზ ფესტივალების მოწყობა წარმოადგენს**, რაც მის წლიურ ბიუჯეტში პირდაპირ არის მითითებული. სამინისტროს მტკიცებით ჯაზ ფესტივალზე დანახარჯები გამართლებულია ფესტივალის პერიოდში ტურისტების რაოდენობის ზრდის გამო, თუმცა ტურისტების რაოდენობის ზრდის ანალიზი სამინისტროში არ მიმდინარეობს. ეს მონაცემი განსაკუთრებით საინტერესოა, იმ პირობებში, როდესაც, მაგალითად, შავი ზღვის ჯაზ ფესტივალისთვის სამინისტროს ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა (600 000 ლარი) კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებული ხარჯების (1 808 500 ლარი) მესამედს (33%) შეადგენს; თბილისის ჯაზ ფესტივალისთვის გათვალისწინებული სახსრები კი (400 000 ლარი) საერთაშორისო ფესტივალების და ღონისძიებების ხელშეწყობისთვის გამოყოფილი დაფინანსების (1 670 000 ლარი) მეოთხედია (24%).
- საქართველოში კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრთან მიხეილ გიორგაძესთან და მის მოადგილეებთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული **10 კომპანია/ორგანიზაცია** ფუნქციონირებს. ისინი კულტურის სფეროში საქმიანობენ და **რეგულარულად იღებენ შეკვეთებს/დაფინანსებას სახელმწიფოსგან**, მათ შორის, კულტურის სამინისტროდან ან მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ებიდან.
- **2014 წლის ივლისიდან დღემდე,** მას შემდეგ, რაც მიხეილ გიორგაძე კულტურის მინისტრი გახდა, **კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებულ**

კომპანიებს საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან გამარტივებული შესყიდვებისა და პირდაპირი დაფინანსების გზით 2 421 743 ლარი აქვთ მიღებული. აქედან, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მონაცემებით, 2014 წლის ივლისიდან დღემდე, კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა, გამარტივებული გზით 65 ხელშეკრულება გააფორმეს, რომელთა საერთო ღირებულებამ 886 352 ლარი შეადგინა. ამასთან ერთად, კულტურის სამინისტრომ 2015 წელს "ისთერნ პრომოუშენსს" 603 145 ლარი "შავი ზღვის ჯაზ ფესიტვალის", 402 005 ლარი კი "თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალის" ჩატარებისთვის გამოუყო. ამავე წელს "შავი ზღვის ჯაზ ფესტივალს" აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან 50 000 ლარი აქვს მიღებული, "თბილისის ჯაზ ფესტივალს" კი თბილისის მერიის ააიპ კულტურული ღონისძიებების ცენტრიდან 100 000 ლარი. 2015 წელსვე შპს "სითი ფესტივალმა" პროექტ "სითი საუნდის" ორგანიზებისთვის კულტურის სამინისტროდან უკონკურსოდ 364,741 ლარი მიიღო, ამავე ფესტივალის ფარგლებში "ჰით ბათუმი 2015-ის" ქოლგის ქვეშ გამართული ფესტივალი Blick 2015 კი დამატებით 15 500 ლარით დაფინანსდა .

- 2014 წლის ივლისიდან დღემდე გამარტივებული გზით **"თბილისის ივენთ ჰოლს" საერთო ჯამში 198 959 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები აქვს მიღებული, "ვიზარდ ივენთს" 270 818 ლარის, "მს ლაითსს" კი 353 270 ლარის საერთო ღირებულების კონტრაქტები აქვთ დადებული. "სითი ფესტივალმა" კულტურის სამინისტოდან დაფინანსების სახით უკონკუროსდ 364 741 ლარი მიიღო. "ისთერნ პრომოუშენსის" მიერ ამ პერიოდში კულტურის სამინისტროდან მიღებული დაფინანსებისა და საჯარო უწყებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების საერთო ოდენობა 1 058 900 ლარს შეადგენს.** თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიების უმეტესობა ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების გზით სახელმწიფო შემსყიდველებთან კონტრაქტებს 2014 წლის ივლისამდეც აფორმებდა.
- შპს "ისთერნ პრომოუშენსში" წილების დათმობის მიუხედავად, **2014 წლის სექტემბრისათვის, როდესაც მას უკვე მინისტრის პოსტი ეკავა, მიხეილ გიორგაძე, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ ჩართული იყო კომპანიის საქმიანობაში,** კერძოდ, თბილისში ენრიო მორიკონეს ტურის ორგანიზებაში. "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის" AlterVision Group-ის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, ენიო მორიკონეს წარმომადგენელი ადასტურებს, რომ მათი კონცერტი თბილისში 2015 წლის 26 აპრილს უნდა გამართულიყო, ხოლო **მოლაპარაკებებს მათთან "ისთერნ პრომოუშენსის" მხრიდან მიხეილ გიორგაძე აწარმოებდა.**
- **გამოვლინდა ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის ნიშნები კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიაში.** კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის და ამავდროულად სამინისტროს მიერ პროექტების დაფინანსებაზე პასუხისმგებელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის **კახი კანდელაკის მამა კულტურის**

სამინისტროდან დაფინანსებული კომპანია "ისთერნ პრომოუშენსის" მოქმედი მეწილეა, რაც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს "ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მოთხოვნებს;

- **კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის დირექტორი დავით მენაბდე დღემდე ფლობს 28,5 პროცენტიან წილს შპს "ისთერნ პრომოუშენში". ამ კომპანიის ფარგლებში დავით მენაბდის ბიზნესპარტნიორი გიორგი კერესელიძე კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული კომპანია "ისთერნ პრომოუშენსის" 90% წილის მფლობელი და დირექტორიცაა.** კომისიაში საქმიანობის პერიოდში ის პარალელურად ასევე ფლობდა "ისთერნ პრომოუშენსის" და "ინთერნეიშენალ ივენთსის" წილებს და გარკვეული დროით ამ უკანასკნელის გენერალური დირექტორის პოსტიც ეკავა.
- კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის თანამშრომელთა ნაწილი პარალელურად დასაქმებულია შპს "ინთერნეიშენალ ივენთსსა" და "ისთერნ პრომოუშენსში." შესაძლოა პრობლემური იყოს, რომ ფონდი მოქმედებს იმავე სფეროსა და იმავე მიზნებით, რა მიზნებიც მისი თანამშრომლების და ხელმძღვანელების პარალელურად დამსაქმებელ კერძო სუბიექტებს ("ინთერნეიშენალ ივენთს", "ისთერნ პრომოუშენსს" და ა.შ.) აქვთ. ფონდის ფინანსური მენეჯერი ნინო ჭანკოტაძე პარალელურად შპს "ინთერნეიშენალ ივენთსის" დირექტორის პოსტს იკავებს. ფონდის დირექტორის მოადგილე ეკატერინე კუპრეიშვილი კი "ისთერნ პრომოუშენსის" თანამშრომელია.
- **შპს "სითი ფესტივალის," დაარსებიდან ერთ თვეში, უკონკურსოდ, 365 000 ლარით დაფინანსებამ, იმ პირობებში, როდესაც კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნები პროექტის ორგანიზატორების ყოფილი ბიზნეს პარტნიორები არიან, ხოლო პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი კომისიის ერთ-ერთი წევრის სიძეა, საზოგადოებაში ლეგიტიმური კითხვები გააჩინა პროექტის დაფინანსების სამართლიანობასთან დაკავშირებით.**
- 2015 წელს კულტურის სამინისტრომ დაახლოებით ერთი მილიონი ლარით უკონკურსოდ დააფინანსა "ისთერნ პრომოუშენსი" თბილისისა და შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალების ორგანიზების ფარგლებში. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, **2015 წელს შპს "ისთერნ პრომოუშენსის" მიერ განხორციელებული პროექტის "შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი" ჩატარების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან გამოყოფილი 603 145 ლარი შეადგენდა პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 36,9%-ს. შესაბამისად, გამოდის რომ 2015 წელს "შავი ზღვის ჯაზ ფესტივალის" მთლიანი ბიუჯეტი 1 634 539 ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის ღირებულებას 605 375 ლარით (59%-ით) აღემატება.** თუმცა, კულტურის სამინისტროს მიერ "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის" 2015 წლის ჯაზ-ფესტივალის მონაწილე მუსიკოსების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია სავარაუდოდ, უზუსტობას შეიცავს, რაც, ცხადია, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უწყების მიერ გაცემული სხვა ინფორმაციის სანდოობასაც.

- 2015 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მუსიკალურ ღონისძიებებზე სულ 4 762 767 ლარი დახარჯა, საიდანაც კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 1 369 891 ლარი უკონკურსოდ მიიღეს. **საერთო ჯამში კი 2015 წელს კულტურის სამინისტროს მიერ მუსიკალურ ღონისძიებებზე გაცემული თანხების 29% მიხეილ გიორგაძესთან, კახი კანდელაკთან და დავით მენაბდესთან დაკავშირებულ კომპანიებზე მოდის.**
- **2014 წელს "შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის" 1 029 164 ლარის ოდენობის ბიუჯეტის დაახლოებით 62,7% (აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან მიღებული თანხა ერთად - 645 413 ლარი) სახელმწიფო დაფინანსებაზე მოდიოდა. 33,7 % თავად "ისთერნ პრომოუშენსის" მიერ გაწეული ხარჯებია, 3,6% კი კერძო დამფინანსებლებზე (სპონსორები/მხარდამჭერები) მოდიოდა.**
- კულტურის სამინისტრომ, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მოთხოვნის მიუხედავად, არ მოგვაწოდა "ისთერნ პრომოუშენსის" მიერ "შავი ზღვის ჯაზ ფესტვალის" 2015 წლის სრული სააპლიკაციო განაცხადი, პროექტის მთლიანი ბიუჯეტი, მის ფარგლებში სამინისტროში ანგარიშვალდებულების კუთხით წარდგენილი დოკუმენტაცია და ა.შ. კულტურის სამინისტროდან მიღებულ წერილში ნათქვამია, რომ 2015 წლის შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის ფარგლებში რეგიონში შემოსული ტურისტების და გაყიდული ბილეთების რაოდენობის, კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლისა და მოგების შესახებ ინფორმაციის მიღებისთვის უნდა მიგვემართა "შესაბამისი ორგანიზაციის ან/და სახელმწიფო ინსტიტუციებისთვის", რაც იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ **უწყება ან არასათანადოდ ახდენს ბენეფიციარების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას და ჩვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას არ ფლობს, ან მის გაცემაზე დაუსაბუთებელ უარს ამბობს. ასეთი მდგომარეობა სათანადოდ ვერ პასუხობს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების იმ მაღალ სტანდარტს, რომელიც გამორიცხავდა კორუფციასა და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ კითხვის ნიშნებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კულტურის სფეროში მოღვაწე ბიზნესსუბიექტების წარმომადგენლები სამინისტროს ხელმძღვანელობაში მოვიდნენ.**
- **პროექტ "ჰით ბათუმი 2015-ის" ფარგლებში პირდაპირი წესით დადებული ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი ნაწილი, კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებულ კომპანიებთან გაფორმდა. ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ 303 990 ლარი შეადგინა.** ხოლო უცხოელი მომღერლების ჩამოყვანის ორგანიზებისთვის სსიპ კულტრუის განვითარების საინვესტიციო ფონდმა 909 811 ლარი მიიღო.

კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წელს დაფინანსებული პროექტები

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში პროექტების (განაცხადის) წარდგენის, განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და დოკუმენტაციის გაფორმების წესს მინისტრის 2015 წლის 13 იანვრის N03/7 ბრძანება განსაზღვრავს.
ბრძანების თანახმად, სამინისტროსათვის დაფინანსების თაობაზე პროექტის (განაცხადის) წარდგენის უფლება ნებისმიერ პირს აქვს.



წყარო: კულტურის სამინისტროს ანგარიში 2015-2016

განცხადებებს პროექტების განხილვისა და მონიტორინგის, დარგობრივი და ფინანსური რესურსების მართვის დეპარტამენტები განიხილავენ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით კი, პროექტის დაფინანსების საკითხი განსახილველად წარედგინება კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 21 აგვისტოს N03/167 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა. ბრძანებით განისაზღვრა კომისიის სრული შემადგენლობა:

ა) კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე - კომისიის თავმჯდომარე;
ბ) მინისტრის პირველი მოადგილე კახი კანდელაკი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) მინისტრის მოადგილე - გიორგი ბაქრაძე - კომისიის წევრი;
დ) მინისტრის მოადგილე - მანანა ბერიკაშვილი - კომისიის წევრი;
ე) მინისტრის მოადგილე - ლევან ხარატიშვილი - კომისიის წევრი;
ვ) მინისტრის მრჩეველი - ქეთევან დუმბაძე - კომისიის წევრი;
ზ) მინისტრის მრჩეველი - გიორგი გეგეჭკორი - კომისიის წევრი ;
თ) მოწვეული ექსპერტი - დავით მენაბდე - კომისიის წევრი;

დავით მენაბდე კომისიის საქმიანობაში მოწვეული ექსპერტის სტატუსით კომისიის შექმნის დღიდან 2016 წლის 17 თებერვლამდე მონაწილეობდა. კომისიის შემადგენლობაში ცვლილება კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2016 წლის 17 თებერვლის N03/53 ბრძანების საფუძველზე შევიდა, რის შემდეგაც დავით მენაბდეს კომისიის წევრობა შეუწყდა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტროში წარდგენილი პროექტების განხილვა და გადაწყვეტილების მისაღებად მომზადება, ყველა ეტაპზე, ხორციელდება შესაბამისი პროგრამისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების, დადგენილი პრიორიტეტებისა და განხილვის პროცესში არსებული პროექტების გათვალისწინებით.
ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები კულტურის სამინისტროს წინაშე ვალდებულნი არიან, წარადგინონ ინფორმაცია განხორციელებული პროექტის შესახებ. ინფორმაციის წარდგენა ხდება სამინისტროს წინაშე წარსადგენი ანგარიშის ფორმის შესაბამისად, რომელიც კულტურის მინისტრის ბრძანებით არის დამტკიცებული. ინფორმაციას თან უნდა ერთვოდეს ფინანსური ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (პროექტის ბიუჯეტი პირველადი და საბოლოო სახით) და ვიზუალური მასალა.
ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, პროექტის მონიტორინგს პროექტების განხილვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი და დარგობრივი დეპარტამენტი ახორციელებენ.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” 2015 წლის 22 დეკემბერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მათ მიერ დაფინანსებული პროექტებისა და ამ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა. სამინისტროდან მიღებული წერილის თანახმად, 2015 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით პროექტები კულტურის სფეროს რვა მიმართულებით დააფინანსა:

- კინო - 31 პროექტი, საერთო ღირებულება: 2,964,369 ლარი
- მუსიკა - 123 პროექტი, საერთო ღირებულება: 4,762,767 ლარი
- თეატრი - 109 პროექტი, საერთო ღირებულება: 2, 508, 039 ლარი
- წიგნი და ლიტერატურა - 49 პროექტი, საერთო ღირებულება: 957, 133 ლარი

- სახვითი ხელოვნება - 42 პროექტი, საერთო ღირებულება: 1, 110, 003 ლარი
- სწავლის ხელშეწყობა - 17 პროექტი, საერთო ღირებულება: 412, 845 ლარი
- ხელოვნების განვითარება და სხვა ღონისძიებები 67 პროექტი, საერთო ღირებულება- 2 305 605 ლარი
- კულტურული მემკვიდრეობა - 30 პროექტი, საერთო ღირებულება: 427, 291 ლარი

2015 წელს კულტურის სამინისტრომ, საერთო ჯამში, 15 448 052 მლნ ღირებულების 468 პროექტი დააფინანსა. 2015 წელს 15 ყველაზე ძვირადღირებული პროექტის დაფინანსების საერთო ღირებულებამ 5,464,341 ლარი შეადგინა.

ვინაიდან კომისიის წევრებს აქვთ ფართო დისკრეცია, პირდაპირი წესით განკარგონ საბიუჯეტო სახსრები, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" გამოიკვლია კომისიის წევრების შესაძლო კავშირი მათ სფეროში მოქმედ კომპანიებთან, რის შედეგადაც შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

ბიზნესკავშირები

მიხეილ გიორგაძესთან
დაკავშირებული
კომპანიები

მინისტრი 2014 წლის 26 ივლისიდან - დღემდე;

2010-2014 წ. შპს "ისთერნ პრომოუშენსი" - დირექტორი და 22.5% წილი;

2005-2014 წ. შპს "ინთერნეიშენალ ივენთსი" - 20%-იანი წილი;

1998-2014 წ. "ისთენ პრომოუშენი" - დირექტორი 14.5% წილი;

1996 - 2012 წ. შპს "მს ლაითს" - 50% წილი.

კახი კანდელაკი
მინისტრის პირველი
მოადგილე

2014 წლის ივლისიდან კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

2014 წლამდე - "ისთერნ პრომოუშენსის" მარკეტინგის დირექტორი და 22.5 % წილი;

2014 წლამდე - "ისთერნ პრომოუშენის" 14.5% წილი;

2014 წლის აგვისტომდე - შპს "ინთერნეიშენალ ივენთსის" გენერალური დირექტორი და 20 % წილი;

დავით მენაბდე
სსიპ კულტურის სფეროს
განვითარების
საინვესტიციო ფონდის
დირექტორი

2014 წლიდან - სსიპ კულტურის სფეროს განვითარების საინვესტიციო ფონდის დირექტორი;

2010-2014 წ. - შპს "ისთერნ პრომოუშენსი" 22.5 % მფლობელი, 2014 წ. აგვ. - 2015 აპრ. 45% წილის მფლობელი;

2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის ნოემბრამდე - შპს "ინთერნეიშენალ ივენთსში" გენერალური დირექტორი და 47.5%-ის მფლობელი;

ამჟამად: შპს "ისთერნ პრომოუშენში" - 28.5 % წილი;

მიხეილ გიორგაძე - კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი 2014 წლის 26 ივლისიდან, კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიის თავმჯდომარე. მინისტრად დანიშვნამდე ის ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა, თუმცა მინისტრის პოსტის დაკავების შემდეგ მან საკუთარი წილები ყველა კომპანიაში დათმო. შპს "ისთერნ პრომოუშენსში" მიხეილ გიორგაძე დაფუძნებიდან, 2010 წლიდან 2014 წლის აგვისტომდე დირექტორის პოსტს იკავებდა და 22.5% წილს ფლობდა. **თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ წილების დათმობის მიუხედავად 2014 წლის სექტემბრისათვის მიხეილ გიორგაძე, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ ჩართული იყო "ისთერნ პრომოუშენსის" საქმიანობაში, კერძოდ, თბილისში ენრიო მორიკონეს ტურის ორგანიზებაში. "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის" AlterVision Group-ის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, ენიო მორიკონეს წარმომადგენელი ადასტურებს, რომ მათი კონცერტი თბილისში 2015 წლის 26 აპრილს უნდა გამართულიყო, ხოლო მოლაპარაკებებს მათთან "ისთერნ პრომოუშენსის" მხრიდან მიხეილ გიორგაძე აწარმოებდა.** ხოლო კომპანიის საიტზე მიხეილ გიორგაძე დღემდე მითითებულია, როგორც "ისთერნ პრომოუშენსის" დირექტორი.

მიხეილ გიორგაძე იყო 1998 წელს კომპანია "ისთერნ პრომოუშენის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც 1998-2014 წლებში ამავე კომპანიის დირექტორის პოსტს იკავებდა. 1996 (დაფუძნების დღიდან) - 2012 წლებში მიხეილ გიორგაძე ფლობდა 50% წილს კომპანიაში "მს ლაითს". ასევე, 2005-2014 წლებში მიხეილ გიორგაძეს შპს "ინთერნეიშენალ ივენთს-ში" წილების 20%-ს ჰქონდა.

ამავდროულად, 2014 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, მიხეილ გიორგაძე შპს თბილისის საკონცერტო დარბაზის ტექნიკური დირექტორი და შპს "ინთერნეიშენალ ივენთსის" ტექნიკური დირექტორი იყო. კულტურის მინისტრი ასევე ააიპ "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდის" დამფუძნებელი და გამგეობის მოქმედი წევრია.

კახი კანდელაკი - 2014 წლის ივლისიდან კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. საჯარო სექტორში გადმონაცვლებამდე მიხეილ გიორგაძესთან ერთად ეწეოდა ბიზნეს-საქმიანობას. 2014 წლამდე მას "ისთერნ პრომოუშენსის" მარკეტინგის დირექტორის პოსტი ეკავა და პარალელურად კომპანიაში 22.5 % წილს ფლობდა. კანდელაკი 2014 წლამდე 14.5% წილს ფლობდა "ისთერნ პრომოუშენშიც". ის ასევე 2014 წლის აგვისტომდე შპს "ინთერნეიშენალ ივენთსის" გენერალური დირექტორი იყო და კომპანიის 20 % წილს ფლობდა. 2014 და 2015 წლების ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე კახი კანდელაკი შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" მარკეტინგის დირექტორი იყო.

კახი კანდელაკი ააიპ "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდის" დამფუძნებელი და გამგეობის მოქმედი წევრია.

დავით მენაბდე - 2014 წლის ოქტომბრიდან კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის დირექტორია. 2010 წლიდან 2014 წელს მენაბდე 22.5 % წილს ფლობდა შპს "ისთერნ პრომოუშენსში", 2014 წლის აგვისტოდან კი 45 % წილს. ამ დროისათვის დავით მენაბდე კომპანიაში წილს აღარ ფლობს. შპს "ისთერნ პრომოუშენში" დავით მენაბდე ამჟამად 28.5 % წილის მფლობელია. 2014 წლის აგვისტოდან დავით მენაბდე კულტურის სფეროში მოღვაწე კიდევ ერთ კომპანიაში შპს "ინთერნეიშენალ ივენთსში" გენერალური დირექტორის პოსტს იკავებდა და 2015 წლის ნოემბრამდე ფლობდა 47.5% წილს. ამ დროისათვის აღარ არის კომპანიის დირექტორი და წილსაც აღარ ფლობს. ის ასევე ააიპ "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდის" დამფუძნებელი, გამგეობის მოქმედი წევრი და თავმჯდომარის მოადგილეა.

გიორგი კერესელიძე - მიხეილ გიორგაძის, კახი კანდელაკის და დავით მენაბდის ყოფილი ბიზნესპარტნიორი. ამჟამად ის "ისთერნ პრომოუშენსის" დირექტორი და 90% წილის მფლობელი, ასევე, "ისთერნ პრომოუშენის" დირექტორი და 29% წილის მფლობელია. კერესელიძე ასევე ფლობს "ინთერნეიშენალ ივენთსის" 95% წილს, არის შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" და ააიპ "თბილისის საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდის დირექტორი" დირექტორი.

გაიოზ კანდელაკი - მიხეილ გიორგაძის, კახი კანდელაკის და დავით მენაბდის ყოფილი ბიზნესპარტნიორი, კახი კანდელაკის მამა. გაიოზ კანდელაკი ამჟამად "ისთერნ პრომოუშენსში" 10% წილს ფლობს, "ინთერნეიშენალ ივენთსში" კი 5%-ს.

ალექსანდრე ბითაძე - მიხეილ გიორგაძის და კახი კანდელაკის ყოფილი და დავით მენაბდის მოქმედი ბიზნესპარტნიორი. ის ამ დროისათვის შპს "ისთერნ პრომოუშენში" ფლობს 14.5 % წილს. ამავდროულად ალექსანდრე ბითაძე ააიპ "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდის" დამფუძნებელი და გამგეობის მოქმედი წევრია. შპს "მს-ლაითსში" კი 50 % წილს ფლობს.

ირაკლი შენგელია - 2011 წლის ნოემბრიდან "ვიზარდ ივენთის" დირექტორია. თავდაპირველად ის კომპანიაში 50% წილს ფლობდა, 2014 წლის თებერვლიდან კი ირაკლი შენგელიას "ვიზარდ ივენთის" წილების 32% ეკუთვნის.

გიორგი ჭუბაბრია - შპს "ვიზარდ ივენთის" წილის 36%-ის მფლობელი, ასევე შპს "სითი ფესტივალის" დამფუძნებელი, 100% წილის მფლობელი და დირექტორი, დავით მენაბდის სიძის, ირაკლი შენგელიას ბიზნესპარტნიორი.

ვაჟა ხაჩიძე - შპს "ონლაინ თიქეთსის" დირექტორი და 30% წილის მფლობელია. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დავით მენაბდის სიძის, ირაკლი შენგელიას მეჯვარე.

კულტურის სამინისტროსთან დაკავშირებული კომპანიები



კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებული კომპანიები/ორგანიზაციები

- **შპს "ისთერნ პრომოუშენსი"**

შპს "ისთერნ პრომოუშენსი" 2010 წლის 5 აგვისტოს არის რეგისტრირებული. დაფუძნების დღიდან 2014 წლის 5 აგვისტომდე მისი დირექტორის პოსტი **მიხეილ გიორგაძეს** ეკავა. 2015 და 2014 წელს შევსებული დეკლარაციების მიხედვით, 2014 წელს მიხეილ გიორგაძეს კომპანიის დირექტორის რანგში 36 062 ლარის შემოსავალი აქვს მიღებული, 2013 წელს კი 40 988 ლარი. ამავე პერიოდში კომპანიის წილები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: **მიხეილ გიორგაძე** - 22,5%, **კახი კანდელაკი** 22,5%, **გიორგი კერესელიძე** - 22,5%, **დავით მენაბდე** 22,5%, **გაიოზ კანდელაკი** 10%. ამჟამად კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის, **კახი კანდელაკის** 2015 და 2014 წლების ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით, მას **შპს "ისთერნ პრომოუშენსის"** მარკეტინგის დირექტორის თანამდებობა ეკავა, რის სანაცვლოდაც 2014 წელს 23 000, 2013 წელს კი 39 394 ლარის შემოსავალი აქვს მიღებული.

2014 წლის აგვისტოდან კომპანიის დირექტორის პოსტი **გიორგი კერესელიძემ** დაიკავა. ცვლილება შევიდა კომპანიის წილების მფლობელობაშიც და მისი 45% **გიორგი კერესელიძის** საკუთრება გახდა, 45% **დავით მენაბდის**, 10% კი **გაიოზ კანდელაკის**.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, კომპანიის მფლობელობაში ბოლო ცვლილება 2015 წლის აპრილში შევიდა, რის შედეგადაც წილების 90% **გიორგი კერესელიძის** საკუთრებაში გადავიდა, 10% კი **გაიოზ კანდელაკის**.

"ისთერნ პრომოუშენსი" სახელმწიფო შესყიდვებში ტენდერების გზით არ მონაწილეობს, თუმცა მიხეილ გიორგაძის მინისტრად დანიშვნამდეც პროექტების/კულტურული ღონისძიებების განხორციელების მიზნით აქტიურად თანამშრომლობდა კულტურის სამინისტროსა და სხვა საჯარო უწყებებთან. შედეგად, კომპანია ყოველწლიურად მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერასაც იღებდა. 2015 წლის მდგომარეობით მიხეილ გიორგაძის მინისტრად დანიშვნის შემდეგ "ისთერნ პრომოუშენსის" მიერ კულტურის სამინისტროდან მიღებული დაფინანსებისა და საჯარო უწყებებიდან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების საერთო ოდენობა 1 158 900 ლარს შეადგენს, მათ შორის, კომპანია "შავი ზღვის ჯაზფესტივალისთვის" ბოლო წლებში 600 000 ლარს იღებს კულტურის სამინისტროდან, 50 000 ლარს აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტორდან, "თბილისის ჯაზ-ფესტივალის" ფარგლებში კი იღებს კულტურის სამინისტროდან 400 000 ლარს, თბილისის მერიისგან კი 100 ათას ლარს. აქვე აღსანიშნავია რომ "ისთერნ პრომოუშენსის" საიტზე მიხეილ გიორგაძე დღემდე მითითებულია კომპანიის დირექტორად, დავით მენაბდე ფინანსურ დირექტორად, ხოლო კახი კანდელაკი მარკეტინგის დირექტორის პოზიციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ "ისთერნ პრომოუშენსს" კულტურის სამინისტროსა და სხვა საჯარო უწყებებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აკავშირებდა, მას შემდეგ, რაც

კომპანიის ხელმძღვანელობამ კულტურის სამინისტროში გადაინაცვლა, ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის რისკების გამოსარიცხად ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უფრო მაღლი სტანდარტის აუცილებლობა გაჩნდა. "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" კულტურის სამინისტროდან გამოითხოვა "ისთერნ პრომოუშენსის" ერთ-ერთი პროექტის, 2015 წლის შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის შესახებ ინფორმაცია. თუმცა უწყებიდან მიღებული პასუხი, პროექტის ფარგლებში რეგიონში შემოსული ტურისტების და გაყიდული ბილეთების რაოდენობის, კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლისა და მოგების შესახებ ინფორმაციის მიღებისთვის მიგვემართა "შესაბამისი ორგანიზაციის ან/და სახელმწიფო ინსტიტუციებისთვის", აღნიშნულ მაღალ სტანდარტს ვერ პასუხობს. კულტურის სამინისტროს წერილიდან გამომდინარე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ უწყება ან არასათანადოდ ახდენს ბენეფიციარების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას და ჩვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას არ ფლობს, ან მის გაცემაზე დაუსაბუთებელ უარს ამბობს.

- **შპს "ისთერნ პრომოუშენი"**

შპს "ისთერნ პრომოუშენი" 1998 წლის 28 მაისს არის რეგისტრირებული. 1998-2014 წლებში კომპანიის დირექტორის პოსტი მიხეილ გიორგაძეს ეკავა. ის ასევე ფლობდა კომპანიის 14.5% წილს, თანამფლობელები კი ალექსანდრე ბითაძე (14.5%) გიორგი კერესელიძე (14.5%), კახი კანდელაკი (14.5%), დავით მენაბდე (14%), მიხეილ ახვლედიანი (14%) და მანანა შამილიშვილი (14%) იყვნენ.

ამჟამად "ისთერნ პრომოუშენის" დირექტორი გიორგი კერესელიძეა, კომპანიის წილები კი შემდეგნაირად ნაწილდება: ალექსანდრე ბითაძე 14,5%, გიორგი კერესელიძე 29%, დავით მენაბდე 28,5%, მიხეილ ახვლედიანი 14%, მანანა შამილიშვილი 14%.

შპს "ისთერნ პრომოუშენი" უკანასკნელ წლებში სახელმწიფოსგან დაფინანსებას არ იღებს, თუმცა, მიხეილ გიორგაძესთან, კახი კანდელაკთან და დავით მენაბდესთან ამ კომპანიით დაკავშირებული ბიზნეს-პარტნიორების სხვა კომპანიებს არაერთხელ მიუღიათ უკონკურსოდ დაფინანსება კულტურის სამინისტროსაგან.

გარდა ამისა სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის დირექტორი დავით მენაბდე დღემდე ფლობს 28,5% წილს "ისთერნ პრომუშენში". შესაბამისად, კულტურის სამინისტროს კომისიაში ყოფნისას მას მოქმედი ბიზნესპარტნიორობა აკავშირებდა იმ პირებთან, მაგალითად, გიორგი კერესელიძესთან, რომელთა კომპანიების დაფინანსების საკითხსაც განიხილავდა კომისიის წევრის რანგში.

- **შპს "ინთერნეიშენალ ივენთს"**

შპს "ინთერნეიშენალ ივენთს" 2005 წლის 7 თებერვალს არის რეგისტრირებული. 2014 წლის აგვისტომდე კომპანიის გენერალური დირექტორი ამჟამად კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე კახი კანდელაკი იყო, ფინანსური დირექტორის პოსტი კი დავით მენაბდეს ეკავა.

კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე შპს "ინთერნეიშენალ ივენთსის" ტექნიკური დირექტორი იყო, რისთვისაც მას 2014 წელს 12812, 2013 წელს კი 34387 ლარის ოდენობის შემოსავალი აქვს მიღებული. ამ პერიოდში კომპანიის წილები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: გიორგი კერესელიძე 35%, დავით მენაბდე 20%, მიხეილ გიორგაძე 20%, კახი კანდელაკი 20%, გაიოზ კანდელაკი 5%.
2014 წლის აგვისტოდან კომპანიის გენერალური დირექტორის პოსტი დავით მენაბდემ დაიკავა. შეიცვალა კომპანიის წილების გადანაწილებაც და 47,5% გიორგი კერესელიძის, 47,5% დავით მენაბდის და 5% გაიოზ კანდელაკის საკუთრებაში გადავიდა.
2015 წლის ნოემბერში კომპანიის მმართველ რგოლში კიდევ ერთი, ამ დროისთვის საბოლოო ცვლილება განხორციელდა, რის შედეგადაც ამჟამად კომპანიის დირექტორი ნინო ჭანკოტაძეა, ხოლო წილების 95% გიორგი კერესელიძე, 5% კი გაიოზ კანდელაკი ფლობენ. **კომპანიის მოქმედი დირექტორი და ამჟამინდელი მეწილეები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი კულტურის სამინისტროს მაღაჩინოსნებთან. აღსანიშნავია, რომ შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" 100% წილს სახელმწიფო ფლობს, თუმცა ამ წილის 100%-ის მმართველი შპს "ინთერნეიშენალ ივენთს" არის. საყურადღებოა, რომ კომპანიის მოქმედი დირექტორი ნინო ჭანკოტაძე პარალელურად სსიპ კულტურის განვითარების ფონდში ფინანსური მენეჯერის ფოსტს იკავებს.**

- **შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი"**

შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი 1999 წელს არის რეგისტრირებული. მისი დირექტორის პოსტი გიორგი კერესელიძეს უკავია. შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის 100% წილის მესაკუთრე სახელმწიფოა, თუმცა წილის 100%-ის მმართველი შპს "ინთერნეიშენალ ივენთს" არის. 2014 და 2015 წლების ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით, კულტურის ამჟამინდელ მინისტრ მიხეილ გიორგაძეს შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში ტექნიკური დირექტორის პოსტი ეკავა, საიდანაც მისი წლიური შემოსავალი 51 146 ლარს შეადგენდა. ამავე პერიოდში, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე კახი კანდელაკი თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის მარკეტინგის დირექტორი იყო, საიდანაც მისი შემოსავალი 2014 წელს 27 437, 2013 წელს კი 48 773 ლარი იყო.

აღსანიშნავია, რომ შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" 100% წილს სახელმწიფო ფლობს, თუმცა **ამ წილის 100%-ის მმართველი შპს "ინთერნეიშენალ ივენთს" არის.** როგორც შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი", ასევე თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი, შპს "ისთერნ პრომოუშენსი", შპს "თბილისის ივენთ ჰოლი" და შპს "ვიზარდ ივენთი" მელიქიშვილის N1-ში არიან რეგისტრირებული.

- **ააიპ "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი"**

თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი 2006 წელსაა რეგისტრირებული. მისი დამფუძნებლები მიხეილ გიორგაძე, დავით მენაბდე, გიორგი კერესელიძე, კახი კანდელაკი და ალექსანდრე ბითაძე არიან.

2006-2014 წლებში ფონდის თავმჯდომარე მიხეილ გიორგაძე იყო. გიორგი კერესელიძე, კახი კანდელაკი, ალექსანდრე ბითაძე გამგეობის წევრები იყვნენ, მიხეილ გიორგაძე თავმჯდომარე/წევრი, დავით მენაბდე კი თავმჯდომარის მოადგილე/წევრი.

2014 წლის აგვისტოდან გიორგი კერესელიძემ ფონდის თავმჯდომარის პოსტი დაიკავა, ალექსანდრე ბითაძე, მიხეილ გიორგაძე, კახი კანდელაკი გამგეობის წევრებად რჩებიან, გამგეობის თავმჯდომარე/წევრი გიორგი კერესელიძეა, თავმჯდომარის მოადგილე/წევრის პოსტს კი დავით მენაბდე ინარჩუნებს.

თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდის საწესდებო მიზანებს შორისაა:

- შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" როგორც ძეგლის გადარჩენაში, განვითარებასა და ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებაში ხელშეწყობა;
- საკონცერტო დარბაზის თანამედროვე ხმოვან-გასანათებელი მოწყობილობეიბთა და აპარატურით აღჭურვის უზრუნველყოფა;
- საკონცერტო დარბაზის კულტურულ საქმიანობაში ხელშეწყობა;
- საკონცერტო დარბაზის მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოების დაფინანსება;
- საკონცერტო დარბაზის თანამშრომელთა სტიმულირება ფინანსური მხარდაჭრით;
- სხვადასხვა სახის სემინარების, კონფერენციების, ლექციების, ტრენინგებისა და ჰუმანური ღონისძიებების (აქციების) მოწყობა;
- საქველმოქმედო ხასიათის სანახაობრივ-გასართობი ღონისძიებების ორგანიზება, შოუ-პროგრამების, დისკოთეკების, კონკურსების მოწყობა;
- პოპულარული უცხოელი მომღერლების , მსახიობების, შემოქმედებითი ჯგუფების საქართველოში ჩამოყვანა, ადგილობრივი შემსრულებლების საზღვარგარეთ საგასტროლოდ გაყვანა და კონცერტების ორგანიზება;
- გრანტების და სხვა სახის ფულად-მატერიალური სახსრების მოზიდვა საწესდებო საქმიანობის განსახორციელებლად;

ააიპ "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდის", რომლის გამგეობაშიც კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნები არიან, საწესდებო მიზანი შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" საქმიანობის ხელშეწყობა და მხარდაჭერაა. ამ უკანასკნელის 100% წილის მმართველი კი კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნებთანვე დაკავშირებული შპს "ინთერნეშენალ ივენთს" არის, რაც ინტერესთა კონფლიქტის რისკებს წარმოშობს.

შპს “მს-ლაითსი”

“მს-ლაითსი” 1996 წელს არის რეგისტრირებული. მისი დამფუძნებლები კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და მისი ყოფილი ბიზნესპარტნიორი ალექსანდრე ბითაძე არიან.

2012 წლის ოქტომბრამდე ალექსანდრე ბითაძე და მიხეილ გიორგაძე კომპანიის 50-50% წილს ფლობდნენ, მისი დირექტორი კი ალექსანდრე ბითაძე იყო. 2012 წლის ოქტომბერში კომპანიაში საკუთარი წილები მიხეილ გიორგაძემ გაასხვისა და მისი 50% წილის მფლობელი ნინო ხაზარაძე გახდა.

2011-2016 წლებში “მს ლაითსს” ტენდერის გზით 1 349 796 ლარის ღირებულების 11 ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

ამავე დროს, “მს ლაითსს” 2013-2016 წლებში გამარტივებული გზით 372 150 ლარის საერთო ღირებულების 21 ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. აქ საყურადღებოა, რომ 21 ხელშეკრულებიდან 2013-2014 წლებში, კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობაში მიხეილ გიორგაძის და მისი გუნდის მოსვლამდე, გამარტივებული გზით 18 880 ლარის საერთო ღირებულების 3 ხელშეკრულებაა დადებული (2 კულტურის სამინისტროსთან, 1 კი მის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-თან). 2014-2016 წლებში კი, მას შემდეგ, რაც კულტურის მინისტრად მიხეილ გიორგაძე დაინიშნა, “მს ლაითსს” 353 270 ლარის საერთო ღირებულების 18 ხელშეკრულება აქვს დადებული, საიდანაც 14 კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ია.

ამ პერიოდში დადებული ხელშეკრულებებიდან ყველაზე ძვირადღირებული ფესტივალ “ჰით ბათუმი 2015-ის” ფარგლებში ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ დადებული კონტრაქტია, რომლის მოცულობამაც 159 890 ლარი შეადგინა.

ბუნებრივია, კულტურის მინისტრთან დაკავშირებულ კომპანიასთან საჯარო უწყებების მიერ გამარტივებული გზით ხელშეკრულებების დადებამ კორუფციულ რისკებთან დაკავშირებით შესაძლოა გარკვეული კითხვები გააჩინოს.

- **შპს “ვიზარდ ივენთი” და შპს “სითი ფესტივალი”**

შპს “ვიზარდ ივენთი” 2009 წელსაა რეგისტრირებული. 2011 წლამდე კომპანიის დირექტორი გიორგი გომარელი იყო, მის 50-50% წილს კი ოთარ ნაჭყებია და ირაკლი შენგელია ფლობდნენ. მედიაში გავრცელებული ცნობით, ირაკლი შენგელია დავით მენაბდის სიძეა.

2011 წლის ნოემბრიდან “ვიზარდ ივენთის” დირექტორი ირაკლი შენგელიაა. 2014 წლის თებერვალში კომპანიის წილების გადანაწილებაში ცვლილება შევიდა, რის შედეგადაც, დღეის მდგომარეობით, კომპანიის წილები შემდეგნაირად ნაწილდება: ოთარ ნაჭყებია 32%, **ირაკლი შენგელია** 32%, გიორგი ჭუბაბრია 36%. **2014 წლის ივლისის შემდეგ “ვიზარდ ივენთს” გამარტივებული შესყიდვების გზით საჯარო უწყებებისგან 270 818 ლარი აქვს მიღებული.**

შპს სიტი ფესტივალ 2015 წლის თებერვალშია რეგისტრირებული. მისი დირექტორი და 100% წილის მფლობელი გიორგი ჭუბაბრიაა, რომელიც დავით მენაბდის სიძის, **ირაკლი შენგელიას** ბიზნესპარტნიორი და "ვიზარდ ივენთის" თანამფლობელია.

კომპანია, დაარსებიდან ერთ თვეში, კულტურის სამინისტრომ კონკურსის გარეშე 365 000 ლარით დააფინანსა ელექტრონული მუსიკის ფესტივალი "სითი საუნდი". გარდა კულტურის სამინისტროდან მიღებული დაფინანსებისა, "სითი საუნდის" ფარგლებში, "ჰით ბათუმი 2015-ის" ქოლგის ქვეშ გამართული ელექტრონული მუსიკის ფესტივალის "Blick - 2015"-ის მონაწილე ქართველი დიჯეების ჰონორარი 15 500 ლარით ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრმა დააფინანსა. აღსანიშნავია, პროექტის განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობდა "ვიზარდ ივენთიც". გიორგი ჭუბაბრია და ირაკლი შენგელია, მიხეილ გიორგაძისა და კახი კანდელაკის ყოფილი ბიზნეს პარტნიორები არიან. მინისტრობამდე მიხეილ გიორგაძის თანამფლობელობაში იყო "ინთერნეიშენალ ივენთსი", რომელიც თბილისის საკონცერტო დარბაზის 70%-ს ფლობდა, დანარჩენ 30%-ს – "ვიზარდ ივენთი". აქვე აღსანიშნავია, რომ კულტურის სამინისტროს კომისიის კიდევ წევრი დავით მენაბდეც იყო რომელის სიძეც "ვიზარდ ივენთის" თანამფლობელი ირაკლი შენგელიაა.

შპს "სითი ფესტივალისათვის" დაარსებიდან ერთ თვეში უკონკურსოდ 365 000 ლარის მიღება, იმ პირობებში, როდესაც კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნები პროექტის ორგანიზატორების ყოფილი ბიზნეს პარტნიორები არიან, ხოლო კომისიის ერთ-ერთი წევრი პროექტის ორგანიზატორის სიძეა საზოგადოებაში ლეგიტიმური კითხვები გააჩინა პროექტის დაფინანსების სამართლიანობასთან დაკავშირებით. კულტურის მინისტრის მიხეილ გიორგაძის განცხადებით, "სითი ფესტივალისათვის" 365 000 ლარის უკონკურსოდ მიცემა პრობლემად არ მიაჩნია.

მიუხედავად ამისა, კონკრეტული პროექტის განხორციელების ფარგლებში კულტურის სამინისტროს კომისიასთან ამ რაოდენობის დაკავშირებული პირების არსებობა და დაფინანსების უკონკურსოდ მოპოვება ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს პროცესის გამჭვირვალედ წარმართვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საჯარო ფინანსების კეთილსინდისიერად და ანგარიშვალდებულად განკარგვის მიზნით აუცილებელია დაფინანსების წესის დახვეწა.

- **შპს "თბილისის ივენთ ჰოლი"**

შპს "თბილისის ივენთ ჰოლი" 2009 წლის ოქტომბერშია რეგისტრირებული.
2011 წლის ნოემბრამდე კომპანიის დირექტორი ოთარ ნაჭყებია იყო. 2011 წლის ნოემბრიდან კი დირექტორის პოსტი გიორგი გომარელმა დაიკავა, რომელიც ამ პოზიციას დღემდე იკავებს.
2013 წლის ნოემბრამდე "თბილისის ივენთ ჰოლის" აქციების 70%-ს "ინთერნეიშენალ ივენთს", 30%-ს კი "ვიზარდ ივენთი" ფლობდა. 2013 წლის ნოემბრიდან, კომპანიის 30% წილს გიორგი გომარელი, 70%-ს კი ვასილ ტურაბელიძე ფლობდა, თუმცა 2016 წლის 19 აპრილიდან კომპანიის 100% წილს გიორგი გომარელი ფლობს.

2012-2016 წლებში “თბილისის ივენთ ჰოლმა” 6 ტენდერტში მიიღო მონაწილეობა, აქედან სამში გაიმარჯვა. საერთო ჯამში კომპანიამ ტენდერებიდან 13 000 ლარი მიიღო.

გამარტივებული შესყიდვის წესით 2013 წლიდან დღემდე “თბილისი ივენთ ჰოლს” 293 486 ლარის საერთო ღირებულების 12 ხელშეკრულება აქვს დადებული.
მათ შორის, აღსანიშნავია თბილისის მერიასთან დადებული კონტრაქტი, რომელიც თბილისობის ფარგლებში გასამართი ღონისძიების ორგანიზებას გულისხმობდა და მისი ღირებულება 78 965 ლარს შეადგენდა. ასევე აღსანიშნავია 2015 წელს ბათუმის კულტურის ცენტრთან დადებული ორი, 70 000 და 39 500 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, რომლებიც ბათუმში ზაფხულში მიმდინარე ღონისძიებების ხარჯების ნაწილს ფარავდა. 2014 წლის ივლისიდან დღემდე **გამარტივებული გზით “თბილისის ივენთ ჰოლს” საერთო ჯამში 198 959 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები აქვს მიღებული.**

- **შპს “ონლაინ თიქეთს” (tkt.ge)**

შპს “ონლაინ თიქეთს” 2015 წლის 27 აპრილს არის რეგისტრირებული. მისი დირექტორი და 30% წილის მფლობელი ვაჟა ხაჩიძეა, 30%-ს თამარ მჟავანაძე, 40%-ს კი შპს "ლემონდუ ბიზნესი” ფლობენ. ვაჟა ხაჩიძე, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დავით მენაბდის სიძის, ირაკლი შენგელიას მეჯვარეა.
თავის მხრივ, შპს “ლემონდუ ბიზნესი” 2013 წლის 23 იანვარსაა რეგისტრირებული. მისი დირექტორი ლევან კილაძეა, კომპანიის წილები კი შემდეგნაირად ნაწილდება: ლევან კილაძე 45%, ნიკოლოზ მამულაშვილი 25%, გიორგი ოთიაშვილი 30%.
შპს “ონლაინ თიქეთსმა” 2016 წელს 3 ტენდერში მიიღო მონაწილეობა, საიდანაც ორში გაიმარჯვა. მათ შორის ერთ-ერთი კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის, მეორე კი ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიერ გამოცხადებული ტენდერია. საერთო ჯამში კომპანიამ 323 000 ლარის ღირებულების (კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდთან - 285 000 ლარი; ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი - 38 000 ლარი) ხელშეკრულებები გააფორმა.
შპს “ონლაინ თიქეთსის” ტენდერების შესწავლისას რამდენიმე საინტერესო გარემოება იკვეთება. შპს “ონლაინ თიქეთს” 2015 წლის 27 აპრილს არის რეგისტრირებული, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში მიმწოდებლად ის 2016 წლის 15 იანვარს დარეგისტრირდა. ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ, რომელიც კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, ტენდერი 2016 წლის 12 იანვარს გამოცხადდა, ხოლო წინადადებების მიღების ვადა 15 იანვრიდან 20 იანვრამდე პერიოდით განისაზღვრა. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში თავდაპირველად (12 იანვარს) ატვირთული სატენდერო დოკუმენტაცია შეიცვალა და თუკი თავდაპირველად პრეტენდენტთათვის 5 წლიანი გამოცდილება იყო მოთხოვნილი, 14 იანვარს ატვირთულ საბოლოო სატენდერო დოკუმენტაციაში გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნა საერთოდ ამოღებულია.

კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის მიერ კულტურულ ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერს ერთადერთი მონაწილე - შპს "ონლაინ თიქეთსი" ჰყავდა. ერთ-ერთი კომპანიის, შპს ელ. ბილეთების (biletebi.ge) წარმომადგენლების განცხადებით, ტენდერის პირობები არ იყო საკმარისად დაზუსტებული იმისთვის, რომ დაინტერესებული მიმწოდებელს საკუთარი ფასის განსაზღვრა შესძლებოდა. ამავე დროს, მათი ინფორმაციით, 1-4 მარტის პერიოდში შპს "ელ. ბილეთებსა" და კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდს შორის შედგა მიმოწერა, რომლის ფარგლებშიც ფონდი დაინტერესდა კომპანიის მომსახურების პირობებით. biletebi.ge-ის წარმომადგენლების თქმით, ფონდში მათ განუცხადეს, რომ კონკრეტული ღონისძიებები დაგეგმილი არ იყო და დამატებითი დეტალების მიწოდებაზე უარი უთხრეს, თუმცა 7 მარტს ბილეთების რეალიზაციის მომსახურების შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოაცხადეს.
ასეთი გარემოებების ერთობლიობამ შესაძლოა შექმნას შთაბეჭდილება, რომ ტენდერების მიმდინარეობისას ყველა შესაძლო მიმწოდებლისთვის თანაბარი პირობები უზრუნველყოფილი არ იყო.

- **კულტურისა და ძეგლთა დაცვის მოადგილის კახი კანდელაკის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი**

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიაჩნია, რომ კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს კახი კანდელაკს კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიაში საქმიანობის ფარგლებში შესაძლოა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი[2]. კახი კანდელაკის მამა, გაიოზ კანდელაკი, შპს "ისთერნ პრომოუშენსში" დაფუძნების დღიდან დღემდე ფლობს 10% წილს. გაიოზ კანდელაკი ასევე

[2] თანამდებობის პირების მიერ მათი საჯარო უფლებამოსილებების განხორციელებისას შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებს "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონი არეგულირებს. კანონის თანახმად, „ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში" არის საჯარო მოსამსახურის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან.
თავისი მიზნებიდან გამომდინარე, კანონი ასევე ადგენს "ოჯახის წევრის" (პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი) და "ახლო ნათესავის" (პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები) ცნებებს.
"საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის თანახმად, თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას უკავია თანამდებობა. თანამდებობის პირს ასევე არა აქვს უფლება თავის ახლო ნათესავთან ან მის წარმომადგენელთან დადოს ქონებრივი გარიგება, როგორც საჯარო მოხელემ.
ხოლო თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაა კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს ამ ორგანოს სხვა წევრებს ან თავის უშუალო ხელმძღვანელს, ამასთან, უარი განაცხადოს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე.

ფლობს 5% წილს შპს "ინთერნეიშენალ ივენთსში" კომპანიის დაფუძნებიდან დღემდე. მისი ბიზნესპარტნიორი, კომპანიის 95% წილის მფლობელი გიორგი კერესელიძეა, რომელიც "ისთერნ პრომოუშენსის" დირექტორი და მთავარი მეწილეცაა. ამ კომპანიას კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, კულტურის სამინისტროსგან მხოლოდ 2015 წელს დაახლოებით 1 მლნ ლარის პირდაპირი დაფინანსება აქვს მიღებული.

2015 წელს ჩატარებული კვლევის "საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის განხორციელება პრაქტიკაში" ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" საჯარო უწყებებს, მათ შორის კულტურის სამინისტროს, მიმართა "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის შესრულებისა და გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკის შესახებ. კულტურის სამინისტროს პასუხის თანახმად, 2010-2015 წლებში სამინისტროს შიდა აუდიტის და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ არ გამოვლენილა უწყებაში "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის დარღვევების შემთხვევები.

ინტერესთა კონფლიქტის რისკები სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდსა და დავით მენაბდესთან დაკავშირებით

კომისიაში საქმიანობის პერიოდში ინტერესთა შეუთავსებლობის რისკები იკვეთება დავით მენაბდის შემთხვევაშიც. გარდა იმისა, რომ **2014 წლის ოქტომბრიდან დღემდე** დავით **მენაბდე** არის კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის თავმჯდომარე, **2014 წლის 21 აგვისტოდან 2016 წლის 17 თებერვალამდე ის მიწვეული ექსპერტის სტატუსით კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის** წევრიც იყო.
დავით მენაბდე, კომისიის წევრობის პარალელურად, 2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის აპრილამდე "ისთერნ პრომოუშენსში" 45% წილს ფლობდა. ასევე, 2014 წლის აგვისტოდან, მას შემდეგ რაც "ინთერნეიშენალ ივენთსის" გენერალურმა დირექტორმა კახი კანდელაკმა ეს პოსტი დატოვა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე გახდა, "ინთერნეიშენალ ივენთსის" გენერალური დირექტორი და 47,5% წილის მფლობელი სწორედ დავით მენაბდე გახდა. ეს პოზიცია მას 2015 წლის ნოემბრამდე ეკავა.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" კვლევის პროცესში შპს "ელ. ბილეთების" წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ 2015 წლის ოქტომბერში დავით მენაბდე შპს "ონლაინ თიქეთსის" წარმომადგენლებთან ერთად შეხვდათ და თბილისის საკონცერტო დარბაზში (ფილარმონიაში) biletebi.ge-ის მიერ გაყიდულ ბილეთებთან დაკავშირებით გარკვეული პირობები გააცნო, რაც გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის 1%-ის tkt.ge-ისთვის ("ონლაინ თიქეთს") გადარიცხვას გულისხმობდა. **ამ დროისთვის დავით მენაბდე ჯერ კიდევ თბილისის საკონცერტო დარბაზის მმართველი კომპანიის "ინთერნეიშენალ ივენთსის" გენერალური**

დირექტორი და მეწილე იყო, თუმცა ასევე იკავებდა კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელის თანამდებობას. ამ პერიოდში მისი მხრიდან ბიზნეს-საქმიანობაში აქტიური და პირდაპირი ჩართულობა, მითუმეტეს, კონკურენტ ბიზნეს-სუბიექტებს შორის ურთიერთობებში, ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის მაღალი რისკის მატარებელია.

დავით მენაბდე დღემდე ფლობს 28,5% წილს "ისთერნ პრომოუშენში" და კომპანიის ფარგლებში მოქმედი ბიზნესპარტნიორია ალექსანდრე ბითაძის ("მს ლაითს" დირექტორი და 50% წილის მფლობელი) და გიორგი კერესელიძის ("ისთერნ პრომოუშენსის" დირექტორი და 90% წილის მფლობელი). მიუხედავად იმისა, რომ "ისთერნ პრომოუშენის" საქმიანობაზე, მითუმეტეს, საჯარო ფინანსებით განხორციელებულ ღონისძიებებზე ინფორმაცია არ იძებნება, ეს საკითხი მაინც პრობლემურია.

ასევე საყურადღებოა თავად სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის საქმიანობისა და ამ პროცესში შესაძლო ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის რისკები.

სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 იანვრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა, თუმცა მისი წინამორბედი კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი 2013 წლის 9 აგვისტოს არის დაფუძნებული. კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდს ამ დრომდე არ აქვს ვებ-გვერდი და მასზე ინფორმაცია არც კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საიტზე (სსიპ-ების განყოფილებაში) იძებნება.

ფონდი დამოუკიდებლად არ იღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ პროექტის შერჩევა-დაფინანსებაზე, იგი ღონისძიებას მხოლოდ მისი ზემდგომი ორგანოს დავალებით/შეთანხმებით ატარებს.
აღნიშნული ფონდის ორგანიზებულია 2014 წლის 31 დეკემბერს საახალწლო ღონისძიება, ასევე პროექტი „ყინულის დედოფალი." ფონდის ორგანიზებითვე „ჰით ბათუმი 2015-ის" ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება. კერძოდ, ფონდმა უზრუნველყო ფესტივალისთვის უცხოელი შემსრულებლების ჩამოყვანა, ასევე ორგანიზება გაუწია ბათუმში „აი ორკესტრას" კონცერტს.

- ჯგუფ „აი ორკესტრას" კონცერტი დაფინანსდა ფონდის ბიუჯეტიდან და მისი **ორგანიზებისთვის 48 154 ლარი დაიხარჯა.** ხოლო კონცერტზე გაიყიდა 30, 40 და 50 ლარიანი **31 ბილეთი, სულ 1200 ლარის ღირებულების.**
- 2014 წლის საახალწლო ღონისძიება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა. კონტრაქტორებისთვის გადახდილმა თანხამ ჯამში 339 075 ლარი შეადგინა. აქედან, მონაწილეთა ჰონორარები - 283 405 ლარი, ქართველი კონტრაქტორებისთვის მომსახურებისთვის გადახდილი თანხა - 55 670 ლარი, მათ შორის, სასტუმროს

მომსახურება 16 140 ლარი, ტრანსპორტირება 6 545 ლარი. აღსანიშნავია, რომ **მონაწილეთა კვების - კეიტერინგის, ბიოტუალეტების და საგრიმიოროების მოწყობისა და საგრიმიოროებისთვის გენერატორის იჯართვის - შპს „ივენთ ჰოლმა“ 32 984 ლარი გამარტივებული წესით, უტენდეროდ მიიღო.**

- პროექტი „ყინულის დედოფალი“ ჩატარდა 2014 წლის 7, 8, 9 იანვარს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში“ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული დაფინანსებით. პროექტის ფარგლებში კონტრაქტორებმა ჯამში 115 939 ლარი მიიღეს. სულ გაყიდული 3 311 ბილეთიდან მიღებულმა თანხამ კი 61 800 ლარი შეადგინა. საინტერესოა, რომ ღონისძიების ფარგლებში **განათების მომსახურებისთვის 20 060 ლარი შპს „მს ლაითსმა“ მიიღო.**

სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის დეკლალირებულ მიზნებს შორისაა ქართული კულტურის ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრა-შესაფასება, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ოპტიმალური ნიშების შერჩევა და საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, ქართული კულტურის აღმავლობისა და ფინანსური მდგრადობის მიღწევის ხელშეწყობა საინვესტიციო და კომერციული პროექტების განხორციელების გზით, ასევე კულტურის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კულტურის სფეროს განვითარების ფონდი უფლებამოსილია მიიღოს, ან გასცეს გრანტები კულუტურის სფეროში კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად, ასევე ორგანიზება გაუწიოს კულტურული ღონისძიებების სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას.

ამ ეტაპზე ფონდი დაკომპლექტებულია 10 საშტატო ერთეულით:

- დირექტორი - დავით მენაბდე;
- დირექტორის მოადგილე - ეკატერინე კუპრეიშვილი;
- ფინანსური მენეჯერი - ნინო ჭანკოტაძე;
- პროექტების მენეჯერი - კახა ბახტაძე;
- პროექტების მენეჯერი - ელისაბედ კერესელიძე;
- მთავარი სპეციალისტი - ანა ხაჩიაშვილი;
- მთავარი სპეციალისტი - როინ ხუციშვილი;
- სპეციალისტი - ბესარიონ ლეჟავა;
- სპეციალისტი - ელენე იოსელიანი;
- სპეციალისტი - ლევან ბახტაძე;

შტატგარეშე თანამშრომლები - ნინო კვანტალიანი, დეა ლევიძე, გიზო ილურიძე, რევაზ იუკურიძე, რამაზ ჭილაია, ხათუნა კერესელიძე, ნიკოლოზ ბაგრატიონი, ნანა ქვაჩახია.

ფონდის საშტატო თანამშრომლების წლიური შრომის ანაზღაურება ჯამში 208 800 ლარს შეადგენს, ხოლო **2015 წელს საერთო ჯამში (არასაშტატო თანამშრომლების ჩათვლით) ფონდის მიერ ხელფასებზე, პრემიებსა და სხვა დანახარჯებზე გაცემულმა თანხებმა 250 326 ლარი შეადგინა.**

იმ პირობებში, როდესაც ფონდი საკუთარი განხორციელებული პროექტებიდან მიღებული შემოსავლით ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევას ვერ ახერხებს, როგორც ეს ფონდის დაფუძნებისას იყო [განზრახული](), ბუნებრივია, შესაძლოა დაისვას ფონდის საქმიანობის ეფექტიანობისა და მისი არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი.

კულტურის განვითარების ფონდს ორი მისამართი აქვს, ერთი იურდიული, ხოლო მეორე ფაქტობრივი. ფონდის იურიდიული მისამართი სანაპიროს ქ. №4. ამავე მისამართზეა განთავსებული კულტურის სამინისტრო. აღსანიშნავია, რომ სსიპ-ის ფაქტობრივი მისამართია მელიქიშვილის 1. ფონდს ამ მისამართზე ოფისი იჯარით აქვს აღებული "შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზთან" 2016 წლის 1 იანვრიდან, თვიური იჯარა კი 786 ლარს შეადგენს. მელიქიშვილის N1-ში ასევე არიან რეგისტრირებული როგორც თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი, ასევე შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი", შპს "ისთერნ პრომოუშენსი", შპს "თბილისის ივენთ ჰოლი" და შპს "ვიზარდ ივენთი" .

ფონდის საქმიანობის პარალელურად დავით მენაბდე დღემდე ფლობს 28,5% წილს შპს "ისთერნ პრომოუშენში". დავით მენაბდის იმეილი David@tchall.net კი საჯარო რეესტრის მონაცემებში დღემდე არის "ისთერნ პრომოუშენის", "ისთერნ პრომოუშენსის" და თბილისის საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართი. **აღსანიშნავია, რომ დავით მენაბდე სავარაუდოდ მონაწილეობდა 2016 წლის 27 თებერვალს "საქართველოს ბანკის" მოწვევით საქართველოში ჩამოსული სტინგისა და კრის ბოტის დახურული კონცერტის [ორგანიზებაში]().** **კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნებს სტინგთან ერთად აღნიშნული კონცერტის შემდეგ აქვთ გადაღებული [ფოტო](), საიდანაც ჩანს, რომ დავით მენაბდეს კონცერტის მაღალი დონის ორგანიზატორის საიდენტიფიკაციო ბარათი უკეთია**. ფონდის ფინანსური მენეჯერი ნინო ჭანკოტაძე პარალელურად შპს "ინთერნეიშენალ ივენთსის" დირექტორის პოსტს იკავებს. კახა ბახტაძე, რომელიც პროექტების მენეჯერია პარალელურად შპს "მინის" დირექტორია, ხოლო ფონდის დირექტორის მოადგილე ეკატერინე კუპრეიშვილი "ისთერნ პრომოუშენსის" [თანამშრომელია]() და წარსულში იკავებდა შპს "მინის" დირექტორის პოსტს.
თავის მხრივ შპს "მინი" 2013 წელს დაარსდა, კომპანიის პარტნიორები ეკა კუპრეიშვილის გარდა გიორგი კერესელიძის მეუღლე ქეთევან გამცემლიძე, დავით მენაბდის მეუღლე ლია მენაბდე და კახი კანდელაკის მეუღლე ელენა იავორსკაია იყვნენ. ამჟამად შპს "მინის" 100 % წილს ირაკლი შარაშიძე ფლობს.

კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიაში მიწვეული ექსპერტის სახით წევრობა ან სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელობა "თანამდებობის პირის" სტატუსს არ გულისხმობს და შესაბამისად, მასზე პირდაპირ არ ვრცელდება "საჯარო სამსახურში

ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონის მოთხოვნები. მიუხედავად ამისა, კომისიის წევრის რანგში დავით მენაბდე მონაწილეობას იღებდა საჯარო ფინანსების განკარგვაში და გავლენა ჰქონდა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. შესაბამისად, მის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ინტერესთა კონფლიქტის რისკების გათვალისწინება და მისი და სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტის დაცვა. მითუმეტეს, რომ დავით მენაბდესთან დაკავშირებული კომპანიების "ისთერნ პრომოუშენსის", "ინთერნეიშენალ ივენთსისა" და სსიპ კულტურის განვითარების საინვესიტიციო ფონდის საქმიანობის მიზნები ერთმანეთის მსგავსია. მათი საქმიანობის ძირითად სფეროს კონცერტებისა და ფესტივალების ორგანიზება, მუსიკის განვითარების ხელშეწყობა და კულტურის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს.

- **საბიუჯეტო სახსრების განკარგვისას გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის და დაფინანსების წესების გაუმჯობესების აუცილებლობა:** შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის მაგალითი

კულტურის სფეროში ღონისძიებების დაფინანსების არსებული პრაქტიკის ხარვეზების და მისი თანხმლები კორუფციული რისკების საჩვენებლად "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" 2014 და 2015 წლებში შავი ზღვის ჯაზფესტივალის და "ბათუმი ჰით სეზონი 2015-ის" (ჰით ბათუმი 2015) ფარგლებში სახელმწიფო სახსრების ხარჯვის პრაქტიკა უფრო დეტალურად შეისწავლა.

- ***შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი***

2014 წლის პროექტ "შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის" საერთო ბიუჯეტმა 1 029 164 ლარი შეადგინა. ფესტივალს დაფინანსების რამდენიმე წყარო ჰქონდა, მათ შორის TBC ბანკი და სახელმწიფო ბიუჯეტი. აჭარის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამინისტროდან პროექტი 50 ათასი ლარით, ხოლო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან 595 413 ლარით დაფინანსდა. საერთო ჯამში საბიუჯეტო სახსრებით "ისთერნ პრომოუშენსი" 615 413 ლარით დაფინანსდა. TBC ბანკმა პროექტი 36 913 ლარით დააფინანსა. დარჩენილი თანხები - 346 838 ლარი "ისთერნ პრმოუშენსმა" გაიღო.

აჭარის ა/რ-ს კულტურის, განათლებისა და სპორტის სამინისტროდან "შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის" ორგანიზებისათვის მიღებული 50 000 ლარის ნახევარი გახმოვანების აპარატურაზე დაიხარჯა, ხოლო დარჩენილი 25 000 ლარი ფესტივალის ერთ-ერთი შემსრულებლის MAN IN BRASS-ის ჰონორარს მოხმარდა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან “შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის” ორგანიზებიათვის მიღებული 595 413 ლარი კი შემდეგნაირად განაწილდა:

- ჰონორარი და საერთაშორისო გადაადგილება (MAN IN BRASS-ის გარდა) - 360 438
- საფესტივალო ტერიტორიის მოწყობა - 29 000
- კორტების იჯარა - 20 000
- დაცვა - 10 000
- განათების ქირაობა - 25 000
- კეტერინგი (კვება და კულისების მომსახურება) -15 000
- სატრანსპორტო მომსახურება (შიდა გადაადგილებისათვის) - 16 000
- სასტუმროს მომსახურება - 74 975
- ტექნიკური მომსახურება (სცენის იჯარა და ტრანსპორტირება) - 45 000

შესაბამისად, 2014 წელს “შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის” 1 029 164 ლარის ოდენობის ბიუჯეტის დაახლოებით 62,7% (აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან მიღებული თანხა ერთად - 645 413 ლარი) სახელმწიფო დაფინანსებაზე მოდიოდა. 33,7% თავად “ისთერნ პრომოუშენსის” მიერ გაწეული ხარჯებია, 3,6% კი “კერძო დამფინანსებლებზე (სპონსორები/მხარდამჭერები) მოდიოდა.

2015 წ. კულტურის სამინისტრომ “შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი” კონკურსის/ტენდერის გარეშე, 603,145 ლარით დააფინანსა. ამავე დროს, “ისთერნ პრომოუშენსმა” 23-26 ივლისს “შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის” ორგანიზებისა და ფესტივალის ფარგლებში სასტუმროში დაბინავებისათვის (81 კაცი) აჭარის ა/რ-ს კულტურის, განათლებისა და სპორტის სამინისტროსგან დამატებით 50 ათასი ლარი მიიღო. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, **2015 წელს შპს "ისთერნ პრომოუშენსის" მიერ განხორციელებული პროექტის "შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი" ჩატარების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან გამოყოფილი 603 145 ლარი შეადგენდა პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 36,9%-ს. შესაბამისად, გამოდის რომ 2015 წელს “შავი ზღვის ჯაზ ფესტივალის” მთლიანი ბიუჯეტი 1 634 539 ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის ღირებულებას 605 375 ლარით (59%-ით) აღემატება.**

სამინისტროს ცნობით, უწყებიდან “ისთერნ პრომოუშენსისთვის” გამოყოფილი თანხა “ითვალისწინებდა პროექტის [“შავი ზღვის ჯაზ ფესტივალის”] ფარგლებში მონაწილეთა (Lisa Stansfield, Groove Sonixs, Esperanza Spalding, Snoop Dogg, Liv Warfield, Brass Bands, George Clinton) ჰონორარების ნაწილის და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო გადასახადების დაფინანსებას.” თუმცა, **კულტურის სამინისტროს მიერ “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის” მოწოდებული აღნიშნული ინფორმაცია სავარაუდოდ, უზუსტობას შეიცავს**, რადგან 2015 წლის ჯაზ-ფესტივალის მონაწილე მუსიკოსები, სამინისტროს ცნობითვე, იყვნენ: GEORGE CLINTON & PARLIAMENT FUNKADELIC, LIV WARFIELD feat. the

NGP HORNZ, LISA STANSFIELD, SNOOP DOGG. ამავეს მოწმობს "ჰით ბათუმი 2015-ის" ღონისძიებების კალენდარიც. GROOVESONIX და NEW YORK BRASS BAND სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდმა "ჰით ბათუმი 2015-ის" ფარგლებში ჩამოიყვანა და მათთან, ამავე ფესტივალის ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით, შესაბამისად, 12 500 დოლარის და 12 000 ევროს ღირებულების კონტრაქტებიც გააფორმა. ხოლო Esperanza Spalding საქართველოს არა შავი ზღვის, არამედ თბილისის ჯაზ ფესტივალის ფარგლებში 25 ოქტომბერს ეწვია. სამინისტროს მიერ "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის" მოწოდებულ ინფორმაციაში ასეთი მნიშვნელოვანი უზუსტობა, ცხადია, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უწყების მიერ გაცემული სხვა ინფორმაციის სანდოობასაც, მითუმეტეს, იმ პირობებში, როდესაც **კულტურის სამინისტრომ, ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, არ მოგვაწოდა "ისთერნ პრომოუშენსის" მიერ "შავი ზღვის ჯაზ ფესტვალის" 2015 წლის სრული სააპლიკაციო განაცხადი, პროექტის მთლიანი ბიუჯეტი, მის ფარგლებში სამინისტროში ანგარიშვალდებულების კუთხით წარდგენილი დოკუმენტაცია და ა.შ.** კულტურის სამინისტროდან მიღებულ წერილში ნათქვამია, რომ 2015 წლის შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის ფარგლებში რეგიონში შემოსული ტურისტების და გაყიდული ბილეთების რაოდენობის, კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლისა და მოგების შესახებ ინფორმაციის მიღებისთვის უნდა მიგვემართა "შესაბამისი ორგანიზაციის ან/და სახელმწიფო ინსტიტუციებისთვის", რაც იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ უწყება ან არასათანადოდ ახდენს ბენეფიციარების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას და ჩვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას არ ფლობს, ან მის გაცემაზე დაუსაბუთებელ უარს ამბობს. **ასეთი მდგომარეობა სათანადოდ ვერ პასუხობს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების იმ მაღალ სტანდარტს, რომელიც გამორიცხავდა კორუფციასა და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ კითხვის ნიშნებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კულტურის სფეროში მოღვაწე ბიზნესსუბიექტების წარმომადგენლები სამინისტროს ხელმძღვანელობაში მოვიდნენ.**

კულტურის სამინისტროდან მიღებული პასუხი კვლევის მეტი სიზუსტით განხორციელების შესაძლებლობას არ იძლევა, თუმცა არსებული ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **კულტურის სამინისტროსა და აჭარის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ "შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის" ფარგლებში გაწეულ ხარჯებს შესაძლოა ემატებოდეს სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გაღებული სახსრებიც. ასეთი ვარაუდის საფუძველს 2015 წელს ბათუმში "ბათუმი ჰით სეზონი 2015-ის" (ჰით ბათუმი 2015) ფარგლებში სახელმწიფოს მიერ დახარჯული თანხებისა და დადებული კონტრაქტების ანალიზი იძლევა.**

- **ბათუმი ჰით სეზონი 2015**

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, "ჰით ბათუმი 2015" ბათუმის საზაფხულო სეზონის სპეციალური პროექტი იყო, რომელიც თავის თავში მოიცავდა 2 თვიანი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა მიმართულების ფესტივალებისა და გასართობი ღონისძიებების ჩატარებას უწყვეტ რეჟიმში. 6 ივლისიდან 15 სექტემბრამდე, ყოველ კვირას, ბათუმში

ჩატარდა განსხვავებული ტიპის ღონისძიებები, რომელიც ერთიანი ქოლგის ქვეშ, სახელწოდებით "ჰით ბათუმი" გაერთიანდა. პროექტის დაფინანსებისთვის ბათუმის საკრებულოს განკარგულებით მერიის ა(ა)იპ "ბათუმის კულტურის ცენტრის" პროგრამაში ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა "ბათუმი ჰით სეზონი 2015" პროექტისთვის 3 400 000 ლარი იქნა გამოყოფილი, რომლის განკარგვაც გამარტივებული გზით, ტენდერის/კონკურსის გამოცხადების გარეშე მოხდა.

"ჰით ბათუმი 2015" საინტერესოა იმითაც, რომ მის ფარგლებში პირდაპირი წესით დადებული ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი ნაწილი რომელთა საერთო ღირებულებამ 303 990 ლარი შეადგინა, კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებულ კომპანიებთან გაფორმდა. ხოლო უცხოელი მომღერლების ჩამოყვანის ორგანიზებისთვის სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდმა 909 811 ლარი მიიღო.

კონკურსის წესის საჭიროებასა და ამ გზით მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა თუ თანხის დაზოგვის შესაძლებლობაზე მიუთითებს „ჰით ბათუმი 2015-ის" ფარგლებში საქართველოში ჯგუფ „Okean Elzi-ის" ჩამოყვანასთან დაკავშირებით Alter Vision Group-ის წარმომადგენლის დავით ცინცაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციაც. მისი განცხადებით, ჯგუფის ჩამოყვანაზე თავდაპირველად კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდთან შეთანხმებით სწორედ Alter Vision Group მუშაობდა და მათ Okean Elzi-სთან ფასის შესახებ შეთანხმება უკვე მიღწეული ჰქონდათ, რაც 25 000 ევროს შეადგენდა. როგორც კვლევის პროცესში Alter Vision Group-ის წარმომადგენელმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთან" შეხვედრაზე განაცხადა, კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდმა მათთვის მოულოდნელად Okean Elzi-ის ჩამოყვანასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმება Alter Vision Group-ისგან დამოუკიდებლად გადაწყვიტა. **საბოლოოდ, კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდმა Okean Elzi-ის ჩამოყვანასთან დაკავშირებით 37 500 ევროს ღირებულების ხელშეკრულება (CMR150137957) გააფორმა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირთან KRIM ASSOCIATES S.A (წარმომადგენელი ანდრეას მოუსტრასი). ასევე აღსანიშნავია, რომ ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრსა და სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდს შორის „ჰით ბათუმი 2015-ის" ფარგლებში უცხოელი შემსრულებლების ჩამოყვანის შესახებ დადებული ხელშეკრულებების თავდაპირველ ვერსიაში ჯგუფ Okean Elzi-სთვის განსაზღვრულია 29 000 ევრო, თუმცა ხელშეკრულებაში (დანართში) ცვლილების შესვლის შემდეგ საბოლოო თანხად 27 500 ევრო გამოიყო.**

ასევე საყურადღებოა, რომ "ჰით ბათუმი 2015-ის" ერთ-ერთი ლოკაცია საფესტივალო კლუბი Take Five იყო, რომელიც, თავის მხრივ, "თბილისის ივენთ ჰოლთანაა" დაკავშირებული. "ჰით ბათუმი 2015-ის" ფარგლებში გამართული 20 ღონისძიება საფესტივალო კლუბში გაიმართა. მათ შორის, "ჰით ბათუმის" ბიუჯეტით სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის მიერ ჩამოყვანილი Max the Sax-ის, Spaghetti Swing Band-ისა და The New York Brass

Band-ის ღონისძიებების ერთ-ერთი ლოკაცია სწორედ "თბილისი ივენთ ჰოლთან" დაკავშირებული კლუბი Take Five იყო.

აჭარის მთავრობის ვებ-გვერდზე აღნიშნულია, რომ "ჰით ბათუმი 2015"-ის ბიუჯეტიდან ღონისძიებების მხოლოდ ნაწილი ფინანსდებოდა, რადგან ზოგიერთ პროექტს ჰქონდა კერძო დაფინანსება, ან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობა. ასეთი ღონისძიებების მაგალითებად დასახელებულია "შავი ზღვის ჯაზფესტივალი", ლიანა ისაკაძის „ღამის სერენადები“, ელექტრონული მუსიკის ფესტივალი, "ფანტა ლავ ლენდი" და "აი ორკესტრა".

მიუხედავად ამისა, “ჰით ბათუმის” ფარგლებში დადებულ ზოგიერთ ხელშეკრულებაში არასაკმარისადაა დაზუსტებული მომსახურების გაწევის ვადები და ხელშეკრულების ფარგლებში კონკრეტული ბენეფიციარები. ამან შესაძლოა შექმნას შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული მომსახურების ირიბი მოსარგებლეები სხვა საბიუჯეტო უწყებებიდან მხარდაჭერილი ღონისძიებები და ორგანიზაციებიც არიან. კერძოდ:

- ბათუმის კულტურის ცენტრმა “**ჰით ბათუმი 2015**-ის” ფარგლებში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოსთან 90 000 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა, რომელიც “ბათუმი ჰით სეზონის 2015-ის” ღონისძიებების დაცვის უზრუნველყოფას გულისხმობდა. დაცვის მომსახურების პერიოდი, ხელშეკრულების თანახმად, 2015 წლის 6 ივლისიდან 7 სექტემბრამდე პერიოდით განისაზღვრა. ხელშეკრულების დანართის მიხედვით, კორტების სცენისთვის გათვალისწინებული იყო **48 დღის მანძილზე დაცვა (14 ივლისი - 31 აგვისტო), კორტებზე ღონისძიებების ჩატარების დროს კი დაცვის უზრუნველყოფა 27 დღის მანძილზე იყო გათვლილი.** “ჰით ბათუმის ფარგლებში” კორტებზე 25 ღონისძიება იმეზნება და მათ შორის, მაგალითად, შედის 23-26 ივლისს შავი ზღვის ჯაზფესტივალის ფარგლებში გამართული კონცერტებიც. შესაბამისად, ბუნდოვანია, ფარავდა თუ არა აღნიშნული კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები იმ ღონისძიებების დაცვით უზრუნველყოფასაც, რომლებიც არ ფინანსდებოდა “ჰით ბათუმის” ბიუჯეტიდან“ და ხომ არ მოხდა ამ გზით აღნიშნული პროექტების ირიბად (დაცვის ხარჯების) დაფინანსება.
- 2015 წელს ბათუმის კულტურის ცენტრმა "ვიზარდ ივენთს" 25 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაუფორმა პირდაპირი წესით. ხელშეკრულების საგანი ბათუმის საზაფხულო სეზონის პროექტის ფარგლებში კორტებში დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზება, კერძოდ საკონცერტო სკამებითა და მაგიდებით უზრუნველყოფა იყო. ხელშეკრულების პირობა 45 დღით 550 სკამის და 40 დღით 50 მაგიდის იჯარას ითვალისწინებდა. მომსახურების გაწევის ვადად 2015 წლის 15 ივლისიდან 30 აგვისტომდე პერიოდი განისაზღვრა. ამ შემთხვევაშიც, ბუნდოვანია,

შეიძლებოდა თუ არა ხელშეკრულების მიხედვით სკამებით და მაგიდებით სარგებლობა იმ ღონისძიებების ფარგლებში, რომლებსაც “ჰით ბათუმისგან” დამოუკიდებელი ბიუჯეტი ჰქონდათ, ვინაიდან ღონისძიებების გამართვის პერიოდი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების ვადებში (15 ივლისიდან 40 და 45 დღე) შედის.

- “თბილისის ივენთ ჰოლმა” 2015 წელს ბათუმის კულტურის ცენტრისგან **საზაფხულო სეზონის** პროექტის ფარგლებში ბათუმში კორტების ტერიტორიის მოწყობისთვის გამარტივებული შესყიდვის წესით 70 000 ლარი მიიღო (კორტების ტერიტორიაზე 500 კვ მეტრის სცენის მოწყობაზე ვიპ ზონებისთვის (26 250 ლ.); ვიპ ზონების სცენის 500 კვ მეტრის გადახურვა (34 250 ლ); სალაროს ჯიხური (5500 ლ); სალაროს ჯიხურის ინვენტარით უზრუნვ (4 000 ლ). ხელშეკრულებაში მომსახურების გაწევის ვადად 2015 წლის 16 ივლისიდან 30 აგვისტომდე პერიოდია მითითებული.
- **"ბათუმი ჰით სეზონი 2015**"-ის ფარგლებში ფესტივალის მონაწილეების კვების (კონცერტებისა და რეპეტიციების დროს კულისების ქეითერინგით უზრუნველყოფა) და შესაბამისი მომსახურე პერსონალის მომსახურება ბათუმის კულტურის ცენტრმა “თბილისი ივენთ ჰოლისგან” 39 500 ლარად პირდაპირი წესით შეისყიდა. მომსახურების გაწევის ვადაა **17 ივლისიდან 31 აგვისტომდე** პერიოდი.
- ბათუმის კულტურის ცენტრმა 2015 წელს შპს "ბათუმის ჩოგბურთის კლუბთან" 100 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება დადო, რომლის საგანიც "ბათუმი ჰით სეზონი 2015-ის" ფარგლებში ჩოგბურთის კლუბის ხუთი კორტისა და 4 გასახდელის იჯარა (3467 კვ.მ) იყო. აქედან, 80 000 ლარი უშუალოდ კორტის იჯარა, 20 000 ლარი კი გასახდელების (სასტუმროს 4 სტანდარტული ნომერი) იჯარა იყო. ხელშეკრულების თანახმად, მომსახურების გაწევის ვადა 2015 წლის 14 ივლისიდან 2 სექტემბრამდე პერიოდია, თუმცა მომსახურებაში არ შედის 22 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით (ბათუმის შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარების პერიოდი) და 19 აგვიტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით (ელექტრონული მუსიკის ფესტივალის ჩატარების პერიოდი) არსებული საიჯარო დღეები, ვინაიდან მიმწოდებლის მიერ უზრუნველყოფილია აღნიშნულ დღეებში კორტების ტერიტორიის იჯარით გაცემა სხვა იურიდიულ პირებზე. აღნიშნული ხელშეკრულება საკმარისად მკაფიოდ ადგენს მომსახურების გაწევის პერიოდს და მის პოტენციურ ბენეფიციარებს.
- 2015 წელს ბათუმის კულტურის ცენტრმა შპს “მს-ლაითსს” 159 890 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაუფორმა პირდაპირი წესით. ხელშეკრულების საგანი ბათუმის საზაფხულო სეზონის პროექტის ფარგლებში ბათუმში ჩოგბურთის კორტების ტერიტორიაზე საკონცერტო ღონისძიებების სასცენო-საკონცერტო განათების აპარატურით მომსახურება იყო. ხელშეკრულების თანახმად, მომსახურების გაწევის ვადად 2015 წლის **18 ივლისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდი განისაზღვრ**ა. ხელშეკრულების პირობები არ აკონკრეტებს პერიოდსა და ღონისძიებებს, რომლებისთვისაც “მს ლაითსს” მომსახურება უნდა გაეწია.

- ბათუმის კულტურის ცენტრმა სს "International Projection Systems-თან" გამარტივებული წესით გააფორმა 110 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება "ბათუმი ჰით სეზონი 2015-ის" ფარგლებში საკონცერტო ღონისძიებებზე ეკრანით მომსახურების თაობაზე. მომსახურების გაწევის პერიოდად ხელშეკრულებით 2015 წლის 18 ივლისიდან 29 აგვისტომდე დრო განისაზღვრა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდი აქაც არ შეიცავს დაკონკრეტებას, ვრცელდება თუ არა 110 000 ლარად შესყიდული მომსახურება "ჰით ბათუმის" ქოლგის ქვეშ გაერთიანებულ ყველა ღონისძიებაზე.
- 2015 წელს ბათუმის კულტურის ცენტრმა გამარტივებულის წესით შპს "სოუნდ სითისთან" 118 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულების საგანი "ბათუმი ჰით სეზონი 2015-ის" ფარგლებში კორტების ტერიტორიაზე დაგეგმილ საკონცერტო ღონისძიებებზე სცენის მოწყობით მომსახურება იყო. ხელშეკრულებით მომსახურების გაწევის პერიოდად 2015 წლის 18 ივლისიდან 22 ივლისამდე, 26 ივლისიდან 19 აგვისტომდე, 23 აგვისტოდან 28 აგვისტომდე პერიოდები განისაზღვრა. სცენის მონტაჟისთვის 15-17 ივლისის პერიოდი იყო გათვალისწინებული, დემონტაჟისთვის კი 29 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე დრო. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან ნათელია, რომ ის არ ფარავს, მაგალითად, "შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალისთვის" საჭირო ხარჯებს და პროექტის ორგანიზატორებს აღნიშნული თანხების გაღება საკუთარი ბიუჯეტიდან მოუწევდათ. თუმცა, ამ სცენის ქირაობის შემთხვევაში, ისინი მონტაჟისა და დემონტაჟის ხარჯების თავიდან აცილებას შეძლებდნენ.
- ბათუმის კულტურის ცენტრმა შპს "Stage Sound სთეიჯ საუნდთან" გამარტივებული წესით 177 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულების საგანი "ბათუმი ჰით სეზონი 2015-ის" ფარგლებში საკონცერტო ღონისძიებების სასცენო-საკონცერტო გახმოვანების აპარატურით მომსახურება იყო. მომსახურების გაწევის პერიოდი 18 ივლისიდან 22 ივლისამდე, 27 ივლისიდან 19 აგვისტომდე, 23 აგვისტოდან 28 აგვისტომდე პერიოდები იყო. აპარატურის მონტაჟისთვის 16 ივლისის, დემონტაჟისთვის კი 29 აგვისტო იყო გათვალისწინებული. როგორც წინა შემთხვევაში, აქაც ცხადია, რომ "ჰით ბათუმისთვის" გამოყოფილი ბიუჯეტი კონკრეტულ პროექტებს არ ფარავდა, თუმცა აპარატურის ქირაობის შემთხვევაში მონტაჟისა და დემონტაჟის ხარჯების თავიდან აცილებით მათ პროექტით ირიბად სარგებლობის საშუალება მაინც ექნებოდათ.

დასკვნა

საბიუჯეტო სახსრებით უკონკურსოდ კონკრეტული კულტურული ღონისძიებების დაფინანსება სხვადასხვა სფეროში დადებითი ეფექტის მოტანის გარდა კორუფციისა და

ინტერესთა შეუთავსებლობის მაღალ რისკებთანაც არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ აუცილებელია ნებისმიერი ღონისძიების დაფინანსებისას, საბიუჯეტო სახსრების განკარგვის გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი იქნას დაცული, რაც, შესაძლოა, კულტურის სამინისტროს მხრიდან დაფინანსების წესის მნიშვნელოვან ცვლილებასაც საჭიროებდეს.

2014-2015 წლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხარჯებით რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების კულტურული ღონისძიება უკონკურსოდ დაფინანსდა. დაფინანსებულთა შორის, მუსიკალური ფესტივალების ფარგლებში, რამდენჯერმე მოხვდნენ კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნების ყოფილი კომპანიები, ბიზნესპარტნიორები და მათთან დაკავშირებული კომპანიები.
კულტურის სამინისტრომ 2015 წელს თბილისისა და შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალების ორგანიზების მიზნით "ისთერნ პრომოუშენსი" დაახლოებით ერთი მილიონი ლარით უკონკურსოდ დააფინანსა. მართალია, "ისთერნ პრომოუშენსს" და მის პროექტებს სახელმწიფოს მხარდაჭერა წარსულშიც ჰქონდა, თუმცა მას შემდეგ, რაც მათმა წარმომადგენლებმა კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობაში მაღალი თანამდებობები დაიკავეს, სამინისტროს მხრიდან მმართველობის უფრო მაღალი სტანდარტის დაწესება კორუფციასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნების გამოსარიცხად დღის წესრიგში უფრო აქტიურად დადგა.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" კვლევამ გამოავლინა ინტერესთა კონფლიქტის ნიშნები კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიისა და კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის საქმიანობაში.

კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის კახი კანდელაკის მამა სამინისტროდან დაფინანსებული კომპანია "ისთერნ პრომოუშენსის" მოქმედი მეწილეა, რაც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მოთხოვნებს.

კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიაში საქმიანობის პერიოდში ინტერესთა შეუთავსებლობის მაღალი რისკი არსებობდა დავით მენაბდის შემთხვევაში, რომელიც პარალელურად ამავე სფეროში მოქმედი ბიზნესსუბიექტების საქმიანობაში პირდაპირ იყო ჩართული. აქვე აღსანიშნავია, რომ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის დირექტორი დავით მენაბდე დღემდე ფლობს 28,5 პროცენტიან წილს შპს "ისთერნ პრომოუშენში".

კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის ფინანსური მენეჯერი ნინო ჭანკოტაძე პარალელურად შპს "ინთერნეიშენალ ივენთსის" დირექტორის პოსტს იკავებს. ხოლო ფონდის დირექტორის მოადგილე ეკა კუპრეიშვილი პარალელურად "ისთერნ

პრომოუშენსის” თანამშრომელია. მიუხედავად იმისა, რომ სსიპ კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის თანამშრომლებზე “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” კანონით დადგენილი მოთხოვნები არ ვრცელდება, ფონდი საჯარო ფინანსებს განკარგავს. ამავე დროს, ფონდი მოქმედებს იმავე სფეროში და იმავე მიზნებით, რა მიზნებიც მისი თანამშრომლების და ხელმძღვანელების პარალელურად დამსაქმებელ კერძო სუბიექტებს (“ინთერნეიშენალ ივენთს”, “ისთერნ პრომოუშენს” და ა.შ.) აქვთ. ასეთი ვითარება, ცხადია, წარმოშობს ლეგიტიმურ კითხვებს ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის რისკებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ინტერესთა კონფლიქტის რისკების გათვალისწინება და ფონდისა და სამინისტროს კომისიის წევრები მხრიდან კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტის დაცვა.

თბილისისა და შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალები უკვე მრავალი წელია ტარდება, რაც კულტურის სამინისტროს პროგრამულ ბიუჯეტშიც არის გათვალისწინებული. აჭარის მთავრობის ინფორმაციით, “ჰით ბათუმის” ფესტივალსაც ყოველწლიური სახე მიეცემა. შესაბამისად, რაკი საჯარო უწყებებისთვის ამ პროექტების განხორციელების შესახებ წინასწარ ცნობილია, აუცილებელი და შესაძლებელია მათი დაფინანსების წესის უფრო დახვეწილი ფორმის შემუშავება, რომელიც ღია კონკურსის პრინციპს დაეფუძნება. ამას კვლევაში ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიც მოწმობს, რადგან უკონკურსოდ გაცემული თანხების ნაწილი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან დაკავშირებულ კომპანიებზე **პირდაპირი შესყიდვის გზით** დაიხარჯა. ბუნებრივია, ასეთი ფაქტები ლეგიტიმურ კითხვის ნიშნებს აჩენს და კორუფციის რისკებს ზრდის, რაც კიდევ უფრო მძიმე შედეგებს იწვევს კულტურის სფეროს ბაზარზე, ქმნის რა არათანაბარ გარემოში კონკურენციის განცდას. დაფინანსების წესის დახვეწა აუცილებელია სწორედ კულტურის სფეროში ბაზარზე არსებული ყველა კერძო ბიზნეს-სუბიექტის ინტერესების გათვალისწინებით. ვინაიდან სახელმწიფოს მიერ კონკურსის გარეშე მასშტაბური კულტურული ღონისძიების ორგანიზების მიზნით ერთი კონკრეტული კომპანიის უკონკურსოდ დაფინანსება მის კონკურენტებს არათანაბარ პირობებში აყენებს და მათ საქმიანობას სირთულეებს უქმნის.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მიაჩნია, რომ კულტურის სფეროში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის რისკების შესამცირებლად აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება, რომელიც შემდეგ ძირითად პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს:

- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსების გაცემა ღია და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, კონკურსის გზით უნდა ხდებოდეს. უწყებამ მაქსიმალურად უნდა აიცილოს თავიდან თანხების პირდაპირი წესით განკარგვა, კონტრაქტორების შერჩევა კი ტენდერის გზით უნდა მოახდინოს.

- სასურველია გადაიხედოს კულტურის სამინისტორში კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა და მისი დაკომპლექტების წესი. შესაძლებელია კომისიის წევრობის მსურველი კანდიდატები კონკურსის წესით შეირჩნენ. ამავდროულად აუცილებელია შეიქმნას ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს კომისიის ფარგლებში ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევებს.
- კულტურის სამინისტროს მიერ პროექტის დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის მთლიანი ღირებულება, მასში საბიუჯეტო დაფინანსების წილი და პროექტიდან ბენეფიციარის მიერ მიღებული პოტენციური შემოსავალი.
- შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებები დაინტერესდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერებითა და მიზნობრიობით, ასევე საბიუჯეტო სახსრების განკარგვისას შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის ფაქტებით.